ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების

კ ო ნ ც ე ფ ც ი ა

ქართველი ხალხის სიამაყე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი უდიდესი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრია საქართველოში. უკვე 98 წელია, რაც იგი დიდი ქართველი მეცნიერის - ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით დაარსდა.

უნივერსიტეტმა სახელოვანი გზა განვლო. მან ქვეყნის საკეთილდღეოდ მრავალი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი აღზარდა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის განვითარების საქმეში.

ახალგაზრდამ, რომელმაც გადაწყვიტა მიიღოს უმაღლესი განათლება, უნდა იცოდეს, რომ ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მაღალკვალიფიციური, მეცნიერების საფუძველს დაუფლებული კადრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმის პროცესში, 2005 წლის მაისში, არსებული 22 ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა 6 ფაკულტეტი, რომელთაგან ერთ-ერთი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტია. დღეისათვის ფაკულტეტში გაერთიანებულია შემდეგი დეპარტამენტები: მათემატიკის, კომპიუტერულ მეცნიერებათა, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართო პროფილის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება ხდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომელიც ასეთი სახელწოდებით 2005 წლის მაისიდან არსებობს. მაშინ ზოგადი ინფორმაციის სახით დეკლარირებული იყო: „ფაკულტეტი აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს. იგი ვალდებულია, შეუქმნას სტუდენტებსა და ფაკულტეტის პერსონალს საქართველოს სახელმწიფო განვითარების დონიდან გამომდინარე სათანადო პირობები სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის; უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგებში

თანამედროვე სტანდარტებისა და მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, მუდმივად იზრუნოს სასწავლო და სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე.

ფაკულტეტის ჩამოყალიბებიდან გავიდა 11 წელი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი და მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით. ჩემი არჩევის შემთხვევაში დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე, უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში ფაკულტეტის განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია ძირითადად ვიმუშაო შემდეგი მიმართულებებით:

1. დეპარტამენტებისა და კათედრების მეტი ავტონომია;
2. უნივერსიტეტში ერთიანი სახელფასო ტარიფების მიღწევა;
3. პროფესორის თანამდებობის გამიჯვნა კათედრის გამგის თანამდებობისგან, ანუ ერთ კათედრაზე სამეცნიერო შედეგების საფუძველზე შეიძლება იყოს რამდენიმე პროფესორი;
4. არსებული გაცვლითი პროგრამების გააქტიურება, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მეტი ჩართულობა და მონაწილეობა მათ დაგეგმვაში. ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა;
5. ფაკულტეტის სტუდენტებისათვის უფასო ქსეროქსისა და სტუდენტური სასადილოს ორგანიზება.

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი,

ალგებრა-გეომეტრიის კათედრის

ასოცირებული პროფესორი მ. ამაღლობელი